ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1282942

ნომერი: AR1220516

თარიღი : 16.05.2014

გაცემის თარიღი : 23.05.2014

გაცნობის თარიღი : 02.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ 186;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ქურიძე პ/ნ 01011061220
- თბილისი გ.ონაშვილის ქ. კორ. 9 ბ. 26

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა

მოთხოვნის ტექსტი მხოლოდ კარისა და ფანჯრ(ებ)ის ლეგალიზებაზეა, ხოლო წარმოდგენილ პროექტში ნაჩვენებია დონეთა შორის დამაკავშირებელი ფართი (53X83სმ), რაც ასევე ფიქსირდება ფოტომასალაში და წარმოადგენს სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი კარით შ.პ.ს. „საქსპეცშახტომონტაჟი“–ს საკუთრებაში არარსებულ მიწის ნაკვეთთან დამაკავშირებელ ნაწილს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის

დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში მოთხოვნის ტექსტში დააზუსტის მოთხოვნა და დამატებით წარმოადგინოს:

ა) ბრძანება პროექტის შეთანხმების შესახებ, შეთანხმებული პროექტის ასლი და მშენებლობის ნებართვის ბრძანების ასლი;
ბ) 01.13.07.023.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ებ)ის მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე გაცემული თანხმობა;
გ) დამატებითი ფოტოსურათები პანორამული ხედებით – სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ყველა ღიობის ჩვენებით;

2. ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.